ოლიმპიადა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ოლიმპიადის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად ***უნდა შეასრულოთ ორივე დავალება*** (წერითი დავალება № 1 და წერითი დავალება № 2).

დავალებათა შესასრულებლად გეძლევათ ***3 საათი.***

თითოეული დავალების ***მაქსიმალური ქულაა 20.***

ორივე თხზულება უნდა გადაიტანოთ ***პასუხების ფურცელში.*** გაითვალისწინეთ, ***შავად შესრულებული ნამუშევრები არ გასწორდება.***

გისურვებთ წარმატებას!

წერითი დავალება № 1

ინსტრუქცია:

ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული ტექსტი. კარგად გაიაზრეთ იგი, იმსჯელეთ, რის თქმა სურს ავტორს და გამოხატეთ თქვენი პიროვნული დამოკიდებულება.

ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად დასაბუთებული იქნება ესა თუ ის შეხედულება შესაბამისი არგუმენტებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით.

რევაზ ინანიშვილი

კაცი და ქალი

თებერვლის ცივი, ქარიანი წვიმის შემდეგ (ქარი კვლავაც ქრის), საღამო ხანის სველ ბინდში, რბილად გადაგლუეებული გორაკის ფერდობს ნელ-ნელა ასდევს ბალანჩამოძენძილი გამხდარი მელა. წავა, ჩრდილივით უხმოდ გაძვრება ჩაშავებულ ძეძვებსა და ურო ბალახის ბღუჯებს შორის, შეჩერდება, აზუზული მოხედავს ქარსა და ჰორიზონტზე დახვავებულ ამღვრეულ ღრუბლებს, უწადინოდ დააღებს პირს და ამოიხავლებს:

– ბჰაა!

წავა, ქარი წააგვერდელებს, გაძვრება ძეძვებს შორის, ისევ შეჩერდება, ისევ მოიხედავს და ამოიხავლებს საბრალობლად:

– ბჰაა!

კაცი და ქალი ერთმანეთს მიჰკვრიან და სუნთქვაშეკრულები უყურებენ. კაცმა თქვა:

– შია.

– ოჰ, რას ამბობ! – უკმაყოფილოა ქალი, – მარტოა და გუნება სტკივა.

შავი სამუშაოსათვის

წერითი დავალება № 2

ინსტრუქცია:

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით.

ვინც პირველი ღილი არასწორად შეიკრა, ვერც ბოლო ღილს შეიკრავს სწორად.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

შავი სამუშაოსათვის